2021 წლის ივნისი

დანერგვის სახელმძღვანელო

ხარისხის მართვის საერთაშორისო სტანდარტი 2 _ *გარიგების ხარისხის მიმოხილვა*



IAASB International Auditing and Assurance Standards Board

დანერგვის სახელმძღვანელო:
ხარისხის მართვის საერთაშორისო სტანდარტი (ხმსს) 2 - გარიგების ხარისხის მიმოხილვა

სარჩევი

შესავალი 3

ძალაში შესვლის თარიღი 3

სტანდარტის მიზანი 4

ხმსს 2-ის ძირითადი ცნებები 4

ხმსს 2-ის გადასინჯული და ახალი განმარტებები 4

კავშირები 5

გარიგებები, რომლებზეც ვრცელდება გარიგების ხარისხის მიმოხილვა 7

გარიგების ხარისხის მიმომხილველის დანიშვნა და კრიტერუმები ამ როლის შესრულების უფლებამოსილებისთვის 8

გარიგების ხარისხის მიმოხილვის ჩატარება 11

გარიგების ხარისხის მიმოხილვის დოკუმენტაცია 14

ინფორმირებასთან დაკავშირებული ხმსს 2-ის მოთხოვნები 14

წინამდებარე პუბლიკაცია მოამზადა აუდიტისა და მარწმუნებელი მომსახურების საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს (IAASB) პერსონალმა. სტანდარტის დანერგვის სახელმძღვანელოს მიზანია ხმსს 1-ისა და ხმსს 2-ის იმ მოთხოვნების გაგებასა და გამოყენებაში აუდიტორების დახმარება, რომლებიც ეხება გარიგების ხარისხის მიმოხილვას. იგი არ წარმოადგენს IAASB-ის ოფიციალურ დოკუმენტს, არც ცვლის და არც უგულებელყოფს ხმსს 1-სა და ხმსს 2-ს, რომელთა ტექსტიც წარმოადგენს ოფიციალურ დოკუმენტს. გარდა ამისა, ეს პუბლიკაცია არ არის ამომწურავი და მასში განხილული ნებისმიერი მაგალითი მხოლოდ საილუსტრაციო მიზნებისთვის არის განკუთვნილი. ამ სახელმძღვანელოს გაცნობა ვერ ჩაანაცვლებს ხმსს 1-ისა და ხმსს 2-ის გაცნობას.

შესავალი

2020 წლის დეკემბერში, აუდიტისა და მარწმუნებელი მომსახურების საერთაშორისო სტანდარტების საბჭომ გამოაქვეყნა სამი ახალი და გადასინჯული ხარისხის მართვის სტანდარტი, რომლებიც აძლიერებს და ძირეულად ცვლის ხარისხის მართვისადმი აუდიტორული ფირმის მიდგომას: ხმსს 1, ხმსს 2 და ასს 220 (გადასინჯული) _ *ფინანსური ანგარიშგების აუდიტის ხარისხის მართვა.*

ამ სტანდარტების მეშვეობით, აუდიტისა და მარწმუნებელი მომსახურების საერთაშორისო სტანდარტების საბჭო ეპასუხება სწრაფად ცვალებადი აუდიტის ეკოსისტემის მოთხოვნებს, რომელიც დღითი-დღე რთულდება, მათ შორის დაინტერესებულ მხარეთა მზარდ მოლოდინებსა და პროაქტიული და ადაპტირებადი ხარისხის მართვის სისტემების აუცილებლობას. ზემოაღნიშნული სტანდარტები აუდიტორულ ფირმებს ავალდებულებს, აამაღლონ თავიანთი მონიტორინგისა და რემედიაციის პროცესის სანდოობა, ხარისხი ჩანერგონ ფირმის კორპორაციულ კულტურასა და გენერალურ პოზიციაში („ხელმძღვანელობის ტონი“), ასევე აამაღლონ გარიგების ხარისხის მიმოხილვის საიმედოობა.

რას ეხება ხმსს 2?

ხმსს 2, 1-ლი პუნქტი

ხმსს 2 ეხება:

(ა) გარიგების ხარისხის მიმომხილველის დანიშვნასა და კრიტერიუმებს, რომლებსაც უნდა აკმაყოფილებდეს პირი იმისთვის, რომ დაინიშნოს გარიგების ხარისხის მიმომხილველად; და

(ბ) გარიგების ხარისხის მიმომხილველის პასუხისმგებლობას, რომელიც ეხება გარიგების ხარისხის მიმოხილვის ჩატარებასა და შესაბამისი დოკუმენტაციის მომზადებას.

რა შედეგები მოჰყვა ამ ცვლილებებს?

ამჟამად, გარიგების ხარისხის მიმოხილვასთან დაკავშირებულ მოთხოვნებს მოიცავს არსებული ხკსს 1 და ასს 220. როდესაც ახალი სტანდარტი შევა ძალაში, ხმსს 2 ჩაანაცვლებს გარიგების ხარისხის მიმოხილვასთან დაკავშირებულ ახლანდელ დებულებებს, რომლებიც მოცემულია ხკსს 1-სა და ასს 220-ში. ხმსს 2-ის ცვლილებებმა გამოიწვია არაარსებითი შესაბამისი ცვლილებები აუდიტის სხვა საერთაშორისო სტანდარტებსა და მასთან დაკავშირებულ მასალაში (შეგიძლიათ იხილოთ *„ხარისხის კონტროლის, აუდიტის, მიმოხილვის, სხვა მარწმუნებელი და დაკავშირებული მომსახურების საერთაშორისო დოკუმენტების* ცნობარში (2020 წლის გამოცემა)“ განყოფილება *„ხარისხის მართვის პროექტებით გამოწვეული შესაბამისი ცვლილებები სხვა საერთაშორისო სტანდარტებსა (ასს) და დაკავშირებულ მასალაში“*).

გარიგების ხარისხის მიმოხილვის შესახებ ცალკე სტანდარტის არსებობას რამდენიმე უპირატესობა აქვს:

(ა) განსაკუთრებული აქცენტი კეთდება გარიგების ხარისხის მიმოხილვის მნიშვნელობაზე;

(ბ) გაძლიერდა იმ პირთან დაკავშირებული მოთხოვნების საიმედოობა, რომელსაც ექნება გარიგების ხარისხის მიმოხილვის ჩატარების უფლებამოსილება და ასევე მოთხოვნების, რომლებიც ეხება მიმოხილვის ჩატარებას და შესაბამისი დოკუმენტაციის მომზადებას;

(გ) იქმნება მექანიზმი იმისთვის, რომ უფრო ნათლად გაიმიჯნოს ფირმისა და გარიგების ხარიხის მიმომხილველის პასუხისმგებლობები; და

(დ) გაზრდილია ხმსს 1-ის გრადაციის შესაძლებლობა, ვინაიდან ზოგ შემთხვევაში შესაძლოა ფირმამ დაადგინოს, რომ არ არსებობს ისეთი აუდიტის ან სხვა გარიგებები, რომლისთვისაც გარიგების ხარიხის მიმოხილვის ჩატარება შესაძლებელია ერთ ან რამდენიმე ხარისხის რისკზე რეაგირების სათანადო ზომა იყოს.

ძალაში შესვლის თარიღი

ხმსს 2, მე-11 პუნქტი

ხმსს 2 ძალაშია:

- 2022 წლის 15 დეკემბერს ან ამ თარიღის შემდეგ დაწყებული პერიოდების ფინანსური ანგარიშგების აუდიტისა და მიმოხილვისთვის; და
- სხვა მარწმუნებელი და დაკავშირებული მომსახურების გარიგებებისთვის, რომლებიც იწყება 2022 წლის 15 დეკემბერს ან ამ თარიღის შემდეგ.

სტანდარტის მიზანი

ხმსს 2, მე-12 პუნქტი

ხმსს 2 უნიკალური სტანდარტია, რადგან რამდენიმე მხარის პასუხისმგებლობას ეხება (მაგ., ფირმას და გარიგების ხარისხის მიმომხილველს). თუმცა, ვინაიდან გარიგების ხარისხის მიმომხილველი მოქმედებს ფირმის სახელით, სტანდარტის მიზანი ჩამოყალიბებულია ისე, როგორც ფირმის მიზანი. მიზანი ფორმირებულია ფირმის თვალთახედვიდან, რადგან გარიგების ხარისხის მიმოხილვა არის ფირმის სპეციფიკური საპასუხო ზომა, რომელიც ხორციელდება ცალკეული გარიგების დონეზე. გარდა ამისა, სტანდარტის მიზანი ორიენტირებული უნდა იყოს შედეგზე (ანუ სტანდარტის მოთხოვნების გამოყენების სასურველ შედეგზე და არა ამ მოთხოვნების „მნიშვნელოვანი საკითხების ნაკრების“ შესრულებაზე).

შესაბამისად, სტანდარტის მიზანი მოიცავს მითითებას ფირმის მიერ დანიშნული პირის უფლებამოსილებაზე გარიგების ხარისხის მიმოხილვის ჩატარებისას და კონკრეტულად ადგენს მიმოხილვის სავარაუდო შედეგს (ანუ, გარიგების გუნდის მიერ განხორციელებული ყველა მნიშვნელოვანი განსჯისა და ამის საფუძველზე გამოტანილი დასკვნების ობიექტური შეფასება).

ფირმის მიზანია, გარიგების ხარისხის უფლებამოსილი მიმომხილველის მეშვეობით, უზრუნველყოს გარიგების გუნდის ყველა მნიშვნელოვანი განსჯისა და ამის საფუძველზე გამოტანილი დასკვნების ობიექტური შეფასება.

ხმსს 2-ის ძირითადი ცნებები

მნიშვნელოვანი განსჯა და მნიშვნელოვანი საკითხები

მნიშვნელოვანი განსჯისა და მნიშვნელოვანი საკითხების ცნებები განხილულია ასს 220-სა (გადასინჯული) და ასს 230-ში _ *„აუდიტის დოკუმენტაცია“*, შესაბამისად. გარიგების ხარისხის მიმომხილველის მიერ ხმსს 2-ის შესაბამისად ჩატარებული გარიგების გუნდის ყველა მნიშვნელოვანი განსჯის მიმოხილვა შეესაბამება მიდგომას, რომელსაც ასს 220 (გადასინჯული) ადგენს აუდიტის დოკუმენტაციის მიმოხილვისთვის, რომელიც გარიგების პარტნიორმა უნდა ჩაატაროს. აქედან გამომდინარე, ხმსს 2-ის გ35-გ36 პუნქტებში მოცემული სტანდარტის გამოყენებასთან დაკავშირებული მასალა ყურადღებას ამახვილებს ამ სტანდარტებზე. ფინანსური ანგარიშგების აუდიტის გარდა სხვა გარიგებებისთვის, გარიგების გუნდის მნიშვნელოვანი განსჯა და მათი გადაწყვეტილებები შეიძლება დამოკიდებული იყოს გარიგების ან სუბიექტის სპეციფიკასა და გარემოებებზე, როგორც მითითებულია ხმსს 2-ის გ37 პუნქტში.

პროფესიული სკეპტიციზმი

ხმსს 2-ში აღიარებულია, რომ გარიგების ხარისხის მიმომხილველი არ მოქმედებს პროფესიული სკეპტიციზმით, რადგან ეს ტერმინი განსაზღვრულია აუდიტის მტკიცებულებების მოპოვებისა და შეფასების კონტექსტში. ხმსს 2-ის მე-9 პუნქტში მითითებულია, რომ გარიგების ხარისხის მიმომხილველი არ არის გარიგების გუნდის წევრი და მას არ მოეთხოვება მტკიცებულებების მოპოვება გარიგების მოსაზრების ან დასკვნის გასამყარებლად, მაგრამ გარიგების გუნდს შეუძლია დამატებითი მტკიცებულებების მოპოვება გარიგების ხარისხის მიმოხილვის დროს გამოვლენილი პრობლემური საკითხების შესახებ. ამასთან, ხმსს 2 მოითხოვს, რომ გარიგების ხარისხის მიმომხილველმა შეაფასოს გარიგების გუნდის მიერ პროფესიული სკეპტიციზმის გამოვლენა, როდესაც პროფესიული სკეპტიციზმით მოქმედება შეესაბამება გარიგების ტიპს (იხ. ქვემოთ ნაწილი „გარიგების ხარისხის მიმოხილვის ჩატარება“).

.

ხმსს 2-ის გადასინჯული და ახალი განმარტებები

ხმსს 2, პუნქტები: 13(ა)-13(გ), გ12-გ15

ხარისხის მართვისთვის ხმსს 1-ში დადგენილ ახალ მიდგომასთან შესაბამისობის უზრუნველსაყოფად, არსებულ ხკსს 1-სა და ასს 220-ში გამოყენებული ტერმინები „გარიგების ხარისხის კონტროლის მიმოხილვა/მიმომხილველი“ ხმსს 2-ში შეცვლილია ტერმინებით „გარიგების ხარისხის მიმოხილვა/მიმომხილველი“.

ხმსს 2-ში უფრო ოპტიმიზებულია „გარიგების ხარისხის მიმოხილვა/მიმომხილველის“ ტერმინების განმარტებები, გარკვეული დეტალების გამორიცხვით (რომლებიც ადრე შეტანილი იყო „გარიგების ხარისხის კონტროლის მიმოხილვა/მიმომხილველის“ ტერმინების განმარტებაში), რომელიც იმეორებს სტანდარტის მოთხოვნებს.

ხმსს 2-ს შემოაქვს ტერმინის „სათანადო ეთიკური მოთხოვნების“ ახალი განმარტება იმ სათანადო ეთიკური მოთხოვ-ნების გათვალისწინებით, რომლებიც ვრცელდება პროფესიონალ ბუღალტერზე გარიგების ხარისხის მიმოხილვის ჩატარების დროს.

გადასინჯული და ახალი განმარტებები	აღწერა	დამატებითი ახსნა-განმარ-ტებითი მასალა
გარიგების ხარისხის მიმოხილვა	გარიგების გუნდის ყველა მნიშვნელოვანი განსჯისა და ამის საფუძველზე გამოტანილი დასკვნების ობიექტური შეფასება გარიგების ხარისხის მიმომ-ხილველის მიერ, რომელიც დასრულდა არაუგვიანეს გარიგების დასკვნის (ანგარიშის) თარიღისა.	ა/რ
გარიგების ხარისხის მიმომხილველი	პარტნიორი, ფირმაში მომუშავე სხვა პირი ან გარე პიროვნება, რომელიც ფირმის მიერ დანიშნულია გარიგების ხარისხის მიმოხილვის ჩასატარებლად.	ა/რ
სათანადო ეთიკური მოთხოვნები	პროფესიული ეთიკის პრინციპები და ეთიკური მოთხოვნები, რომლებიც ვრცელდება პროფესიონალ ბუღალტერზე გარიგების ხარისხის მიმოხილვის ჩატარებისას. სათანადო ეთიკური მოთხოვნები, როგორც წესი, მოიცავს ბუღა-ლტერთა ეთიკის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს *პროფესიონალი ბუღალტრების ეთიკის საერთაშორისო კოდექსის (მათ შორის დამოუკიდებ-ლობის საერთაშორისო სტანდარტები) (ბესსს-ის კოდექსი)* იმ დებულებებს, რომლებიც დაკავშირებულია ფინანსური ანგარიშგების აუდიტთან ან მიმოხი-ლვასთან, ან სხვა სახის მარწმუნებელი ან დაკავშირებული მომსახურების გარიგებებთან, ასევე ეროვნული კანონმდებლობით განსაზღვრულ ეთიკურ მოთხოვნებს, რომლებიც ამ კოდექსის მოთხოვნებზე უფრო შემზღუდველია.	პუნქტები გ12-გ15

კავშირები

როგორ არის დაკავშირებული ხმსს 2 ხმსს 1-თან

ხმსს 2, პუნქტები: მე-3 და მე-5

ხმსს 2 იმისთვისაა გამიზნული, რომ იმუშაოს როგორც ფირმის ხარისხის მართვის სისტემის ნაწილმა და, მაშასადამე, ხმსს 1 და ხმსს 2 იმგვარად არის ფორმულირებული, რომ სათანადო კავშირები უზრუნველყოს სტანდარტებს შორის:

- ხმსს 1 ეხება ისეთი ტიპის გარიგებებს, რომლებზეც ვრცელდება გარიგების ხარისხის მიმო-ხილვა; და
- ხმსს 2 შეიცავს კონკრეტულ მოთხოვნებს, რომლებიც დაკავშირებულია გარიგების ხარისხის მიმომხილველის დანიშვნასა და კრიტერიუმებთან, რომლებსაც უნდა აკმაყოფილებდეს პირი იმისთვის, რომ დაინიშნოს გარიგების ხარისხის მიმომხილველად, ასევე მიმოხილვის ჩატარებასა და შესაბამისი დოკუმენტაციის მომზადებასთან.

ხმსს 1 ადგენს ფირმის პასუხისმგებლობას საკუთარი ხარისხის მართვის სისტემაზე და ფირმას ავალდებულებს ხარისხის რისკებზე რეაგირებისთვის განკუთვნილი იმგვარი საპასუხო ზომების განსაზღვრასა და გატარებას, რომლებიც მიესადაგება იმ მიზეზებს, რომელთა გამოც ფირმამ ხარისხის კონკრეტულ რისკებს მიანიჭა ესა თუ ის შეფასება.

ხმსს 1-ში განსაზღვრული საპასუხო ზომები მოიცავს პოლიტიკას ან პროცედურებს, რომლებიც დაკავშირებულია ხმსს 2-ის შესაბამისად გარიგების ხარისხის მიმოხილვის ჩატარებასთან. ამგვარად, ხმსს 2-ის შესაბამისად გარიგების ხარისხის მიმოხილვის ჩატარება არის ერთ-ერთი კონკრეტული საპასუხო ზომა, რომელსაც ფირმა განსაზღვრავს და

ნერგავს ხმსს 1-ის შესაბამისად. გარიგების ხარისხის მიმოხილვას ატარებს გარიგების ხარისხის მიმომხილველი, ფირმის სახელით, ცალკეული გარიგების დონეზე.

დიაგრამა: ხმსს 1-სა და ხმსს 2-ს შორის ურთიერთკავშირი

ხმსს 2, პუნქტები: 23-ე, 34(ვ)

ხმსს 2 ფირმას ავალდებულებს, რომ:



***შენიშვნა**: ქვემოთ იხილეთ იმ გარიგებების ტიპებში შესული ცვლილებები, რომლებზეც ვრცელდება გარიგების ხარისხის მიმოხილვა.*

როგორ არის დაკავშირებული ხმსს 2 ასს 220-თან (გადასინჯული)?

მართალია, ასს 220-ში (გადასინჯული) აღარ არსებობს გარიგების ხარისხის მიმოხილვის ჩატარებასთან დაკავშირებული მოთხოვნები, მაგრამ გადასინჯული სტანდარტი ისევ შეიცავს მოთხოვნებს, რომლებიც ეხება გარიგების პარტნიორის პასუხისმგებლობას გარიგების ხარისხის მიმოხილვის ჩატარებაზე, რომლებიც ძირითადად მიმართულია იმაზე, როგორ ურთიერთობენ გარიგების პარტნიორი და გარიგების გუნდი გარიგების ხარისხის მიმომხილველთან.

ხმსს 2-ის სტანდარტის გამოყენებათან დაკვშირებული მასალაში ყურადღება გამახვილებულია ასს 220-ის (გადასინჯული) შესაბამის მოთხოვნებზე ან/და მათ გამოყენებასთან დაკვშირებულ მასალაზე, რომელიც ეხება შემდეგ ასპექტებს:

მითითებები ხმსს 2- ში	ასს 220-ის (გადასინჯული) მოთხოვნები ან/და მათ გამოყენებასთან დაკავშირებული მასალა	მითითებები ასს 220-ში (გადასინჯული)
პუნქტი გ25	გარიგების პარტნიორის პასუხისმგებლობა გარიგების ხარისხის მიმოხილვის ჩატარებასთან დაკავშირებით.	36-ე პუნქტი
პუნქტი გ35	გარიგების პარტნიორის პასუხისმგებლობა მნიშვნელოვან საკითხებსა და მნიშვნელოვან განსჯასთან დაკავშირებული აუდიტის დოკუმენ-ტაციის მიმოხილვაზე.	31-ე პუნქტი
პუნქტი გ36	მნიშვნელოვანი განსჯის მაგალითები, რომლებიც გარიგების პარ-ტნიორმა შეიძლება გამოავლინოს აუდიტის საერთო სტრატეგიასა და აუდიტის ჩატარების გეგმასთან დაკავშირებით, ასევე გარიგების შესრულებასა და გარიგების გუნდის მიერ გამოტანილ საერთო დასკვნებთან დაკავშირებით.	გ93
პუნქტი გ42	დამაბრკოლებელი ფაქტორების მაგალითები, რომლებიც დაკავში-რებულია გარიგების დონეზე პროფესიული სკეპტიციზმით მოქმე-დებასთან, აუდიტორის გაუცნობიერებელი მიკერძოების მაგალითები, რამაც შეიძლება ხელი შეუშალოს პროფესიული სკეპტიციზმით მოქმედებას და ასევე შესაძლო ზომები, რომელთა გატარება გარიგების გუნდს შეუძლია გარიგების დონეზე პროფესიული სკეპტიციზმის მიმართ შექმნილი წინააღმდეგობების შესამსუბუქებლად.	პუნქტები: გ34-გ36
პუნქტი გ44	მოთხოვნა გარიგების პარტნიორისთვის იმის თაობაზე, რომ მან აუდიტორის დასკვნის დათარიღებამდე, თავის თავზე აიღოს პასუ-ხისმგებლობა იმის დადგენაზე, შესრულებულია თუ არა სათანადო ეთიკური მოთხოვნები, მათ შორის დამოუკიდებლობასთან დაკავ-შირებული.	21-ე პუნქტი
პუნქტი გ46	მოთხოვნა გარიგების პარტნიორისთვის იმის თაობაზე, რომ მან აუდიტორის დასკვნის დათარიღებამდე დაადგინოს, რომ აუდიტის პროცესში მისი (გარიგების პარტნიორის) მონაწილეობა საკმარისი და ადეკვატური იყო.	პუნქტი 40(ა)

გარიგებები, რომლებზეც ვრცელდება გარიგების ხარისხის მიმოხილვა

ხმსს 1, პუნქტები: 34(ვ), გ133-გ137

ხმსს 1-ის 34(ვ) პუნქტში საფონდო ბირჟაზე კოტირებული სუბიექტების გარდა ჩამოთ-ვლილია გარიგებების სხვა კატეგორიებიც, რომლისთისაც სავალდებულოა ხარისხის მიმოხილვის ჩატარება. ახლა ამ გარიგებების დიაპაზონს დაემატა გარიგებები, რომ-ლისთვისაც კანონმდებლობით მოითხოვება გარიგების ხარისხის მიმოხილვის ჩატარება და ასევე სხვა გარიგებები, რომლისთვისაც გარიგების ხარისხის მიმოხილვა ფირმამ მიიჩნია ხარისხის რისკზე რეაგირების სათანადო საპასუხო ზომად.

გარიგებების კატეგორები, რომლისთვისაც სავალდებულოა გარიგების ხარისხის მიმოხილვის ჩატარება ხმსს 1-ის შესაბამისად, პუნქტი 34(ვ)

კოტირებული სუბიექტების ფინანსური ანგარიშგების აუდიტი	აუდიტი ან სხვა გა-რიგებები, რომ-ლისთვისაც კანონ-მდებლობით მოი-თხოვება გარიგე-ბის ხარისხის მიმო-ხილვის ჩატარება	აუდიტი ან სხვა გარი-გებები, რომლისთვი-საც ფირმა ადგენს, რომ გარიგების ხარი-ხის მიმოხილვის ჩატა-რება მიზანშეწონილია ხარისხის ერთ ან რამ-დენიმე რისკზე რეაგი-რების მიზნით

ხმსს 1-ის გ133 პუნქტში განხილულია აუდიტის ისეთი გარიგებების მაგალითები, რომლისთვისაც კანონმდებლობით მოითხოვება გარიგების ხარისხის მიმოხილვის ჩატარება. ხმსს 1-ის გ134 პუნქტში განხილულია იმ პირობების, მოვლენების, გარემოებების, ქმედებების ან აკრძალვების მაგალითები, რომლებიც წარმოშობს ერთ ან რამდენიმე იმგვარ ხარსხის რისკს, რომელზეც (რომლებზეც) რეაგირების ერთ-ერთი ადეკვატური საპასუხო ზომა შესაძლოა იყოს გარიგების ხარისხის მიმოხილვის ჩატარება.

ხმსს 1-ის გამოყენებსთან დაკავშირებულ მასალაში, გ135-გ136 პუნქტებში აღნიშნულია, რომ ხარისხის რისკებზე რეაგირებისთვის განკუთვნილი ფირმის საპასუხო ზომები შესაძლოა გარიგებებისთვის ითვალისწინებდეს სხვა ფორმის მიმოხილვას, რომელიც არ არის გარიგების ხარისხის მიმოხილვა. ზოგ შემთხვევაში, ფირმამ შესაძლოა დაასკვნას, რომ არ არსებობს ისეთი აუდიტი ან სხვა გარიგებები, რომლებისთვისაც გარიგების ხარისხის მიმოხილვის ან გარიგების სხვა ფორმის მიმოხილვის ჩატარება სათანადო საპასუხო ზომა იქნება ხარისხის რისკებზე რეაგირების თვალსაზრისით.

გარიგების ხარისხის მიმომხილველის დანიშვნა და კრიტერუმები ამ როლის შესრულების უფლებამოსილებისთვის

ხმსს 2 მოიცავს ახალ მოთხოვნებს და მათ გამოყენებსათან დაკავშირებულ ახალ მასალას, რომელიც ეხება:

- კრიტერიუმებს, რომლებსაც უნდა აკმაყოფილებდეს ფირმაში დასაქმებული პირ(ებ)ი იმისთვის, რომ დაეკისროს (დაეკისროთ) გარიგების ხარისხის მიმომხილველების დანიშვნის პასუხისმგებლობა;
- გარიგების ხარისხის მიმომხილველად იმ პირის დანიშვნასთან დაკავშირებულ შეზღუდვებს, რომელიც წინათ მოცემული გარიგებისთვის გარიგების პარტნიორს წარმოადგენდა;
- კრიტერიუმებს იმ პირ(ებ)ისთვის, რომელსაც (რომელთაც) გარიგების ხარისხის მიმომხილველის დახმარების უფლებამოსილება ექნებათ გარიგების ხარისხის მიმოხილვის ჩატარებისას; და
- გარიგების ხარისხის მიმომხილველის პასუხისმგებლობას იმასთან დაკავშირებით, რომ მან საკუთარ თავზე უნდა აიღოს საერთო პასუხისმგებლობა გარიგების ხარისხის მიმოხილვის ჩატარებაზე, მათ შორის მიმოხილვაში მისი დამხმარე პირების სამუშაოზე.

გარიგების ხარისხის მიმომხილველების დანიშვნაზე პასუხისმგებელი პირის (პირების) განსაზღვრა

ხმსს 2, პუნქტები: მე17, გ1-გ3

ხმსს 2-ის მე-17 პუნქტი მოიცავს ახალ მოთხოვნას, რომელიც ფირმას ავალდებულებს ისეთი პოლიტიკის ან პროცედურების დაწესებას, რომლებიც მოითხოვს გარიგების ხარისხის მიმომხილველების დანიშვნის პასუხისმგებლობის დაკისრებას იმ პირ(ებ)ისთვის, რომელსაც (რომლებსაც) გააჩნია(თ) ამ პასუხისმგებლობის შესასრულებლად აუცილებელი კომპეტენცია, შესაძლებლობები და ასევე სათანადო უფლებამოსილება ფირმის ფარგლებში.

კრიტერიუმები გარიგების ხარისხის მიმომხილველის როლის შესრულების უფლებამოსილებისთვის

ხმსს 2, პუნქტები: მე-18-19, გ4-გ18

ხმსს 2 არსებულ ხკსს 1-თან შედარებით უფრო ძლიერ, მკაცრ მოთხოვნებს შეიცავს გარიგების ხარისხის მიმომხილველის დანიშვნასა და იმ პირთათვის (ფირმაში მომუშავე იქნება ის თუ ფირმის გარე პირი), ვისაც ექნება გარიგების ხარისხის მიმომხილველის როლის შესრულების უფლებამოსილება. თუმცა, არ შეცვლილა მოთხოვნა იმის შესახებ, რომ გარიგების ხარისხის მიმომხილველი არ შეიძლება იყოს გარიგების გუნდის წევრი.

კომპეტენცია და შესაძლებლობები, მათ შორის საკმარისი დრო

არსებული ხკსს 1 მოიცავს იმ კრიტერიუმებთან დაკავშირებულ მოთხოვნებს, რომლებსაც უნდა აკმაყოფილებდეს პირი იმისთვის, რომ დაინიშნოს გარიგების ხარისხის მიმომხილველად. ეს კრიტერიუმები ფოკუსირებულია ამ პირის ტექნიკურ კვალიფიკაციაზე, მათ შორის მის გამოცდილებასა და უფლებამოსილებაზე, ასევე მიმომხილველის ობიექტურობის შენარჩუნებაზე. ხმსს 2-ში ახსნილია ზემოაღნიშნული მოთხოვნები და გარიგების ხარისხის მიმომხილველის კომპეტენცია და შესაძლებლობები აღწერილია ხმსს 1-ში აღწერილი სხვა როლების მსგავსად.

ხმსს 2-ის გამოყენებასთან დაკავშირებულ მასალაში, გ5-გ8 პუნქტებში უფრო დეტალურად არის ახსნილი ის ფაქტორები, რომლებიც ფირმამ უნდა გაითვალისწინოს იმის დასადგენად, ამა თუ იმ პირს აქვს თუ არა კონკრეტული გარიგების ხარისხის მიმომხილველის შესასრულებლად აუცილებელი კომპეტენცია და შესაძლებლობები.

ხმსს 2-ის 18(ა) პუნქტი მოიცავს ახალ ცალსახა მოთხოვნას იმის თაობაზე, რომ ფირმის პოლიტიკა და პროცედურები უნდა მოითხოვდეს, რომ გარიგების ხარისხის მიმომხილველს მიმოხილვის ჩასატარებლად უნდა ჰქონდეს საკმარისი დრო.

სათანადო უფლებამოსილება

მართალია, არსებული ხკსს 1-იც ეხება მიმოხილვის ჩატარებისთვის აუცილებელი უფლებამოსილების არსებობას, მაგრამ იგი არ შეიცავს დამატებით ინფორმაციას იმის თაობაზე, რომ როგორ მიიღწევა ამგვარი უფლებამოსილება. ამ უფლებამოსილების დადგენა შესაძლებელია სხვადასხვა გზით და არა მარტო პირის კონკრეტული წოდების თუ პოზიციის მეშვეობით ფირმის ფარგლებში.

ხმსს 2-ის გამოყენებასთან დაკავშირებულ მასალაში, გ9 პუნქტში ხაზგასმითაა აღნიშნული, რომ ფირმის კულტურას გარიგების ხარისხის მიმომხილველის უფლებამოსილების გაძლიერება შეუძლია ისეთი კულტურის შექმნით, სადაც დაფასებულია გარიგების ხარისხის მიმომხილველის როლი, რაც ასევე ამცირებს იმის ალბათობასაც, რომ გარიგების ხარისხის მიმომხილველზე ფირმაში მოახდენენ იმგვარ მიზანშეუწონელ გავლენას, რაც საფრთხეს შეუქმნის გარიგების გუნდის მიერ განხორციელებული მნიშვნელოვანი განსჯის შეფასებას მიმომხილველის მიერ. გარდა ამისა, ხმსს 2-ში აღნიშნულია, რომ ზოგ შემთხვევაში, გარიგების ხარისხის მიმომხილველის უფლებამოსილება შეიძლება გაძლიერდეს/გამყარდეს აზრთა სხვადასხვაობასთან დაკავშირებული ფირმის პოლიტიკით ან პროცედურებით, კერძოდ, გარიგების ხარისხის მიმომხილველისთვის ისეთი მექანიზმის შექმნით, რომელსაც გამოიყენებს აზრთა სხვადასხვაობის შემთხვევაში საკითხების/პრობლემების გადასაჭრელად.

ხმსს 2-ის გამოყენებასთან დაკავშირებული მასალა, კერძოდ, გ10 პუნქტი მოიცავს მითითებებს ისეთი გარემოებების შესახებ, როდესაც გარიგების ხარისხის მიმომხილველის უფლებამოსილება შეიძლება შესუსტებული იყოს.

სათანადო ეთიკური მოთხოვნები, მათ შორის ობიექტურობა

ხმსს 2-ის გ14-გ15 პუნქტებში განხილულია გარიგების ხარისხის მიმომხილველის ობიექტურობის მიმართ შექმნილი საფრთხეების მაგალითები.

არსებული ხკსს 1 მოიცავს მოთხოვნას იმის თაობაზე, რომ ფირმებმა უნდა დააწესონ ისეთი პოლიტიკა ან პროცედურები, რომლებიც უზრუნველყოფს გარიგების ხარისხის მიმომხილველის ობიექტურობის შენარჩუნებას. იმისთვის, რომ კიდევ უფრო გაძლიერდეს აქცენტი გარიგების ხარისხის მიმომხილველის ობიექტურობაზე და აღმოიფხვრას უფრო კონკრეტული მოსალოდნელი საფრთხეები, ხმსს 2-ის 18(ბ) პუნქტი მოითხოვს, რომ გარიგების ხარისხის მიმომხილველი იცავდეს სათანადო ეთიკურ მოთხოვნებს, მათ შორის იმ მოთხოვნებს, რომლებიც ეხება გარიგების ხარისხის მიმომხილველის ობიექტურობისა და დამოუკიდებლობის მიმართ შექმნილ საფრთხეებს.

აკრძალვის პერიოდი პირისთვის, რომელიც წინათ დანიშნული იყო გარიგების პარტნიორად

ხმსს 2-ის მე-19 პუნქტი მოიცავს ახალ მოთხოვნას იმის თაობაზე, რომ ფირმის პოლიტიკა ან პროცედურები გარიგების პარტნიორისთვის უნდა ადგენდეს ორწლიან ან უფრი ხანგრძლივ აკრძალვის პერიოდს (თუკი ეს სავალდებულოა სათანადო ეთიკური მოთხოვნების შესაბამისად), რის შემდეგაც მას შეეძლება გარიგების ხარისხის მიმომხილველის როლის შესრულება. ეს მოთხოვნა ეხება ყველა გარიგებას, რომელზეც ვრცელდება გარიგების ხარისხის მიმოხლვის ჩატარება ხმსს 1-ის მოთხოვნების მიხედვით.

ხმსს 2-ის გამოყენებასთან დაკავშირებული მასალა, კერძოდ, გ17-გ18 პუნქტები მოიცავს დამატებით მითითებებს *იმ პირის აკრძალვის პერიოდის შესახებ, რომელიც ადრე გარიგების პარტნიორი იყო.*

კანონი ან სხვა ნორმატიული აქტი, რომელიც ეხება გარიგების ხარისხის მიმომხილველის როლის შესრულების უფლებამოსილებას

ხმსს 2-ის 18(ა) პუნქტი მოიცავს ახალ ცალსახა მოთხოვნას იმის თაობაზე, რომ ფირმის პოლიტიკა და პროცედურები გარიგების ხარისხის მიმომხილველს უნდა ავალდებულებდეს საკანონმდებლო და სხვა მარეგულირებელი დებულებების დაცვას (თუკი ასეთი რამ არსებობს), რომლებიც ეხება გარიგების ხარისხის მიმომხილველის როლის შესრულების უფლებამოსილებას.
,

ხმსს 2-ის გამოყენებასთან დაკავშირებულ მასალაში, კერძოდ, გ16 პუნქტში აღნიშნულია, რომ გარიგების ხარისხის მიმომხილველის როლის შესრულების უფლებამოსილებასთან დაკავშირებით შეიძლება კანონმდებლობა დამატებით მოთხოვნებს ადგენდეს.

საერთო პასუხისმგებლობა გარიგების ხარისხის მიმოხილვის ჩატარებაზე

ხმსს 2, პუნქტები: 21-ე, გ22

ხმსს 2-ის 21-ე პუნქტი მოიცავს ახალ მოთხოვნას იმის თაობაზე, რომ ფირმამ უნდა დააწესოს პოლიტიკა ან პროცედურები, რომლებიც:

(ა) მოითხოვს, რომ გარიგების ხარისხის მიმომხილველმა თავის თავზე აიღოს საერთო პასუხისმგებლობა გარიგების ხარისხის მიმოხილვის ჩატარებაზე; და

(ბ) ითვალისწინებს გარიგების ხარისხის მიმომხილველის მიერ მიმოხილვაში ჩართული პირების ხელმძღვანელობისა და ზედამხედველობის ხასიათის, ვადებისა და მოცულობის განსაზღვრის პასუხისმგებლობას და ასევე მათ მიერ შესრულებული სამუშაოს მიმოხილვას.

კრიტერიუმები იმ პირ(ებ)ისთვის, რომელსაც (რომლებსაც) გარიგების ხარისხის მიმომხილველების დახმარების უფლებამოსილება ექნებათ

ხმსს 2, პუნქტები: მე-20, გ19-გ21

ხმსს 2-ის მე-20 პუნქტი მოიცავს ახალ მოთხოვნას, რომელიც ფირმას ავალდებულებს ისეთი პოლიტიკის ან პროცედურების დაწესებას, რომლებიც ადგენს კრიტერიუმებს იმ პირთათვის, რომელთაც გარიგების ხარისხის მიმომხილველის დახმარების უფლებამოსილება ექნებათ. გარდა ამისა, ხმსს 2 მოითხოვს, რომ ამგვარი პირები არ უნდა იყვნენ გარიგების გუნდის წევრები.



ხმსს 2-ის გამოყენებასთან დაკავშირებული მასალა, კერძოდ, გ19-გ21 პუნქტები შეიცავს დამატებით მითითებებს ისეთი გარემოებებისთვის, როდესაც გარიგების ხარისხის მიმომხილველს ასისტენტები ეხმარებიან.

გარიგების ხარისხის მიმომხილველის უფლებამოსილების დარღვევა გარიგების ხარისხის მიმოხილვის ჩატარებისას

ხმსს 2, პუნქტები: 22-23-ე, გ23-გ24

არსებული ხკსს 1 მოიცავს მოთხოვნას იმის თაობაზე, რომ ფირმის პოლიტიკა და პროცედურები უნდა უზრუნველყოფდეს გარიგების ხარისხის მიმომხილველის შეცვლას, როდესაც შეიძლება შესუსტებული იყოს გარიგების ხარისხის მიმომხილველის უნარი, ჩაატაროს ობიექტური მიმოხილვა. ხმსს 2-ის 22-ე პუნქტში გაფართოებულია ეს დებულება: ფირმას დამატებით მოეთხოვება ისეთ გარემოებებთან დაკავშირებული პოლიტიკის ან პროცედურების დაწესება, როდესაც დარღვეულია გარიგების ხარისხის მიმოხილვის ჩატარების უფლებამოსილების კრიტერიუმებთან გარიგების ხარისხის მიმომხილველის შესაბამისობა და ფირმამ უნდა გაატაროს სათანადო ზომები, მათ შორის შეიმუშაოს პროცესი, რომლის მეშვეობითაც შეარჩევს და დანიშნავს შემცვლელს ასეთ სიტუაციაში.

ხმსს 2-ის გამოყენებასთან დაკვშირებულ მასალაში, კერძოდ, გ23 პუნქტში აღწერილია ფაქტორები, რომლებიც შეიძლება ფირმას გამოადგეს იმის დასადგენად, დარღვეულია თუ არა გარიგების ხარისხის მიმოხილვის ჩატარების უფლებამოსილების კრიტერიუმებთან გარიგების ხარისხის მიმომხილველის შესაბამისობა.

ხმსს 2-ის 23-ე პუნქტი მოიცავს გარიგების ხარისხის მიმომხილველთან დაკავშირებულ ახალ მოთხოვნას იმის თაობაზე, რომ მან შემდეგ ზომებს უნდა მიმართოს, როდესაც მისთვის ცნობილი გახდება ისეთი გარემოებები, რომელთა გამო დარღვეულია გარიგების ხარისხის მიმოხილვის ჩატარების უფლებამოსილების კრიტერიუმებთან გარიგების ხარისხის მიმომხილველის შესაბამისობა:

- ამის შესახებ უნდა აცნობოს სათანადო პირ(ებ)ს ფირმაში;
- თუ გარიგების ხარისხის მიმოხილვა არ დაწყებულა, უარი უნდა თქვას გარიგების ხარისხის მიმოხილვის ჩატარებაზე;
- თუ გარიგების ხარისხის მიმოხილვა დაწყებულია, უნდა შეწყვიტოს გარიგების ხარისხის მიმოხილვის ჩატარება.

გარიგების ხარისხის მიმოხილვის ჩატარება

ხმსს 2-ში უფრო დაკონკრეტებული და გაუმჯობესებულია გარიგების ხარისხის მიმოხილვის ჩატარებასთან დაკავშირებული მოთხოვნები, მათი საიმედოობის ამაღლების მიზნით.

გარიგების ხარისხის მიმოხილვის ჩატარების დრო

ხმსს 2, პუნქტი: 24(ა)

ხმსს 2ის 24(ა) პუნქტი მოიცავს ახალ ცალსახა მოთხოვნას, რომელიც ეხება გარიგების ხარისხის მიმომ-ხილველის პასუხუსმგებლობას, გარიგების მიმდინარეობისას შესაფერის დროს ჩაატაროს პროცედურები.

მნიშვნელოვანი განსჯა და მნიშვნელოვანი საკითხები

ხმსს 2, პუნქტები: 25(ბ), გ35-გ38

არსებული ხკსს 1 მოითხოვს, რომ გარიგების ხარისხის მიმომხილველმა: (1) გარიგების პარტნიორ-თან ერთად განიხილოს მნიშვნელოვანი საკითხები; (2) განიხილოს გარიგების დოკუმენტაციიდან შერ-ჩეული დოკუმენტები, რომლებიც ეხება გარიგების გუნდის მნიშვნელოვან განსჯას და მათ მიერ გამოტანილ დასკვნებს; (3) შეაფასოს გარიგების შესახებ დასკვნის (ანგარიშის) მომზადებისას გამოტანილი დასკვნები და განიხილოს, შემოთავაზებული დასკვნა (ანგარიში) ადეკვატურია თუ არა. ხმსს 2-ის 25(ა)-25(გ) პუნქტებში ეს დებულებები განვრცობილია ახალი დებულებებით, რომლებიც გარიგების ხარისხის მიმომხილველს ავალ-დებულებს:

- გაეცნოს და კარგად გაიაზროს ინფორმაცია, რომელიც მიაწოდა: (1) გარიგების გუნდმა, მოცემული გარიგებისა და სუბიექტის სპეციფიკისა და გარემოებების შესახებ; და (2) ფირმამ, ფირმის მონიტორინგისა და რემედიაციის პროცესთან დაკავშირებით, კერძოდ, გამოვლენილი ნაკლოვანებების შესახებ, რომლებიც შეიძლება დაკავშირებული იყოს ან გავლენას ახდენდეს ისეთ სფეროებზე, რომლებსაც ეხებოდა გარიგების გუნდის მნიშვნელოვანი განსჯა;
- განიხილოს გარიგების პარტნიორთან და, საჭიროების შემთხვევაში, გარიგების გუნდის სხვა წევრებთან ერთად მნიშვნელოვანი საკითხები და ნებისმიერი მნიშვნელოვანი განსჯა, რომელიც განხორციელდა გარიგების დაგეგმვისა და ჩატარების პროცესში და გარიგების შესახებ დასკვნის (ანგარიშის) მომზადებისას;
- (ა) და (ბ) პუნქტების შესრულებისას მოპოვებული ინფორმაციის საფუძველზე განიხილოს გარიგების დოკუმენტაციიდან შერჩეული დოკუმენტები, რომლებიც ეხება გარიგების გუნდის მნიშვნელოვან განსჯას და შეაფასოს: (1) თითოეული მნიშვნელოვანი განსჯისა და გამოტანილი დასკვნების საფუძველი, მათ შორის გარიგების გუნდის მიერ გამოვლენილი პროფესიული სკეპტიციზმი, როდესაც პროფესიული სკეპტიციზმით მოქმედება აუცილებელია გარიგების ტიპიდან გამომდინარე; (2) გარიგების დოკუმენტაცია განამტკიცებს და შეესაბამება თუ არა გამოტანილ დასკვნებს; და (3) გამოტანილი დასკვნები ადეკვატურია თუ არა.

გარიგების პარტნიორთან (და შესაბამის შემთხვევაში, გარიგების გუნდის წევრებთან) ჩატარებული განხილვა და მოცემული სუბიექტის სპეციფიკისა და გარემოებების შესახებ გარიგების გუნდისგან მოპოვებული სხვა ინფორმაცია გარიგების გუნდის მიმომხილველს საშუალებას მისცემს გაეცნოს იმ სფეროებს/საკითხებს, რომელსაც მნიშვნელოვანი განსჯა დასჭირდა. გარიგების გუნდისა და ფირმისგან მიღებული ინფორმაციის გაცნობა და გააზრება გარიგების ხარისხის მიმომხილველს შეიძლება დაეხმაროს ნებისმიერი მნიშვნელოვანი განსჯისა და მიღებული გადაწყვეტილებების შესახებ ნათელი წარმოდგენის შექმნაში, რომელიც შეიძლება დაკავშირებული იყოს მოცემულ გარიგებასთან. ამ ინფორმაციაზე დაყრდნობით, გარიგების ხარისხის მიმომხილველი გარიგების დოკუმენტაციიდან იხილავს შერჩეულ დოკუმენტებს მნიშვნელოვანი განსჯისა და გადაწყვეტილებების დასასა-ბუთებლად.

პროფესიული სკეპტიციზმი

ხმსს 2, პუნქტები: 25(გ)(i), გ41-გ43

პროფესიულ სკეპტიციზმთან დაკავშირებით ხმსს 2-ის 25(გ)(i) პუნქტი მოიცავს ახალ მოთხოვნას გარიგების ხარისხის მიმომხილველისთვის, რომელიც მას ავალდებულებს, გარიგების შერჩეული დოკუმენტაციის მიმოხილვის საფუძველზე შეაფასოს გარიგების გუნდის ნებისმიერი მნიშვნელოვანი განსჯის საფუძველი, მათ შორის გარიგების გუნდის მიერ გამოვლენილი პროფესიული სკეპტიციზმი, როდესაც პროფესიული სკეპ-ტიციზმით მოქმედება აუცილებელია გარიგების ტიპიდან გამომდინარე.

ამ მოთხოვნაში აღიარებულია, რომ გარიგების ხარისხის მიმომხილველის როლის მნიშვნელოვან ნაწილს წარმოადგენს, შეაფასოს პროფესიული სკეპტიციზმი, რომელიც გარიგების გუნდმა გამოავლინა მნიშვნელოვანი განსჯისა და ამ განსჯის საფუძველზე დასკვნების გამოტანისას. გარიგების გუნდის მიერ გამოვლენილი პროფესიული სკეპტიციზმის ზემოაღნიშნული შეფასების მნიშვნელობის გათვალისწინებით, ხმსს 2-ის გამოყენებასთან დაკავშირებულ მასალაში, გ41-გ43 პუნქტებში შეტანილია დამატებითი მითითებები ამ საკითხთან დაკავშირებით.

დამუკიდებლობა და კონსულტაცია

ხმსს 2, პუნქტები: 25(დ)-25(ე), გ44-გ45

საფონდო ბირჟაზე კოტირებული სუბიექტების ფინანსური ანგარიშგების აუდიტისთვის, ამჟამად არსებული ხკსს 1 მოითხოვს, რომ ფირმამ დააწესოს ისეთი პოლიტიკა და პროცედურები, რომლებიც გარიგების ხარისხის მიმომხილველს ასევე ავალებს დამოუკიდებლობასა და კონსულტაციებთან დაკავშირებული საკითხების განხილვასაც. ახლა ხმსს 2-ში განვრცობილია სტანდარტის მოთხოვნების გამოყენების არეალი, რომელიც სცილდება საფონდო ბირჟაზე კოტირებული სუბიექტების ფინანსური ანგარიშგების აუდიტის ფარგლებს. ხმსს 2-ის 25(დ) და 25(ე) პუნქტები, შესაბამისად, გარიგების ხარისხის მიმომხილველს ავალდებულებს:

- ფინანსური ანგარიშგების აუდიტის შემთხვევაში _ შეაფასოს, რის საფუძველზე დაადგინა გარიგების პარტნიორმა, რომ შესრულებულია დამოუკიდებლობასთან დაკავშირებული სათანადო ეთიკური მოთხოვნები; და
- ყველა სხვა გარიგებებისთვის _ შეაფასოს, ჩატარდა თუ არა სათანადო კონსულტაციები რთულ ან სადავო საკითხებთან, ანდა ისეთ საკითხებთან დაკავშირებით, რომლებმაც გამოიწვია აზრთა სხვადასხვაობა, ასევე ამ კონსულტაციების შედეგად გამოტანილი დასკვნები.

გარიგების პარტნიორის საკმარისი და ადეკვატური ჩართულობა გარიგების შესრულების პროცესში

ხმსს 2, პუნქტი: 25(ვ), გ46

ფინანსური ანგარიშგების აუდიტისთვის ხმსს 2-ის 25(ვ) პუნქტი მოიცავს ახალ მოთხოვნას, რომელიც გარიგების ხარისხის მომომხილველს ავალდებულებს შეაფასოს, რის საფუძველზე დაადგინა გარიგების პარტნიორმა, რომ აუდიტის პროცესში გარიგების პარტნიორის მონაწილეობა საკმარისი და ადეკვატური იყო იმ თვალსაზრისით, რომ გარიგების პარტნიორს აქვს საფუძველი იმის დასადგენად, რომ ყველა მნიშვნელოვანი განსჯა და გამოტანილი დასკვნები ადეკვატურია გარიგების სპეციფიკისა და გარემოებების გათვალისწინებით.

ჯგუფის აუდიტთან დაკავშირებული საკითხები

ხმსს 2, პუნქტები: გ32-გ33

მიუხედავად იმისა, რომ ჯგუფის აუდიტი შესაძლოა მეტ სირთულეებთან იყოს დაკავშირებული გარიგების ხასიათიდან გამომდინარე და ასევე იმის გამო, რომ აუდიტის პროცედურები შესაძლოა კომპონენტების ფინანსურ ინფორმაციაზეც ჩატარდეს, გარიგების ხარისხის მიმომხილველის მიზანი ამ შემთხვევაშიც იგივე იქნება (ე.ი. გარიგების გუნდის ყველა მნიშვნელოვანი განსჯისა და ამის შედეგად გამოტანილი დასკვნების შეფასება).

ხმსს 2-ის გამოყენებასთან დაკავშირებული ახალი მასალა, კერძოდ, გ32-გ33 პუნქტები მოიცავს მოსაზრებებს გარიგების ხარისხის მიმომხილვის ჩატარებასთან დაკავშირებით ჯგუფის აუდიტში.

გარიგების ხარისხის მიმოხილვის ჩატარება

ხმსს 2, პუნქტი: 27-ე

ხმსს 2-ის 27-ე პუნქტი გარიგების ხარისხის მიმომხილველისთვის მოიცავს „უცხო თვალით შეფასების“ ახალ მოთხოვნას, რომელიც მას ავალდებულებს იმის დადგენას, გარიგების ხარისხის მიმოხილვასთან დაკავშირებული ხმსს 2-ის მოთხოვნები შესრულებულია თუ არა და დასრულდა თუ არა გარიგების ხარისხის მიმოხილვა.

გარიგების ხარისხის მიმოხილვის დოკუმენტაცია

ხმსს 2, პუნქტები: 28-30-ე, გ50-გ53

ხმსს 2-ის 28-29-ე პუნქტები მოიცავს ახალ მოთხოვნებს, რომლებიც გარიგების ხარისხის მიმომხილველს ავალდებულებს, თავის თავზე აიღოს პასუხისმგებლობა გარიგების ხარისხის მიმოხილვის დოკუმენტაციაზე და ეს დოკუმენტაცია ჩართოს შესაბამისი გარიგების დოკუმენტაციაში.
ხმსს 2-ის 30 პუნქტიც მოიცავს ახალ საერთო მოთხოვნას დოკუმენტაციასთან დაკავშირებით, რომელიც გარიგების ხარისხის მიმომხილველს ავალდებულებს დაადგინოს, რომ გარიგების ხარისხის მიმოხილვის დოკუმენტაცია საკმარისია იმისთვის, რომ გამოცდილმა პრაქტიკოსმა, რომელიც ადრე დაკავშირებული არ იყო მოცემულ გარიგებასთან, წარმოდგენა შეიქმნას გარიგების ხარისხის მიმომხილველის მიერ ჩატარებული პროცედურების ხასიათის, ვადებისა და მოცულობის შესახებ.

დოკუმენტაციასთან დაკავშირებული ხმსს 2-ის მოთხოვნები პრინციპებზე დაფუძნებული მოთ-ხოვნებია, თუმცა ხმსს 2-ის გამოყენებასთან დაკავშირებული მასალა, კერძოდ, გ40 პუნქტი მოიცავს მითითებას იმის თაობაზე, რომ შესაძლებელია ფირმის პოლიტიკაში ან პროცედურებში ზუსტად იყოს განსაზღვრული გარიგების დოკუმენტაცია, რომელიც გარიგების ხარისხის მიმომხილველმა უნდა განიხილოს. გარდა ამისა, ამგვარ პოლიტიკაში ან პროცედურებში შეიძლება მითითებული იყოს, რომ გარიგების ხარისხის მიმომხილველმა უნდა მიმართოს პროფესიულ განსჯას გარიგების იმ დამატებითი დოკუმენტების განსახილველად შერჩევისას, რომლებიც დაკავშირებულია გარიგების გუნდის მნიშვნელოვან განსჯასთან.

ინფორმირებასთან დაკავშირებული ხმსს 2-ის მოთხოვნები

გარიგების ხარისხის მიმომხილველს მოეთხოვება ხმსს 2-ის ინფორმირებასთან დაკავშირებული ახალი მოთხოვნების დაცვა შემდეგ გარემოებებში:

ხმსს 2-ის მითითება	გარემოებები, რომლებიც საჭიროებს ინფორმირებას	მხარე(ები), ვისაც მიეწოდება ინფორმაცია
პუნქტები 23-ე,გ24	გარიგების ხარისხის მიმოხილვის ჩატარების უფლებამოსილების კრიტერიუმებთან გარიგების ხარისხის მიმომხილველის შესაბამისობის დარღვევა	ფირმაში მომუშავე შესაფერისი პირ(ებ)ი
პუნქტები 26-ე,გ49	გადაუჭრელი პრობლემები გარიგების ხარისხის მიმომხილველისთვის	გარიგების პარტნიორი და ფირმაში მომუშავე შესაფე-რისი პირ(ებ)ი
27-ე პუნქტი	გარიგების ხარისხის მიმოხილვის დასრულება	გარიგების პარტნიორი

აუდიტისა და მარწმუნებელი მომსახურების საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს (IAASB) შესახებ

IAASB-ის მიზანია ემსახუროს საზოგადოებრივი ინტერესების დაცვას აუდიტის, მარწმუნებელი და სხვა სახის დაკავშირებული მომსახურების მაღალი დონის სტანდარტების დადგენით და აუდიტისა და მარწმუნებელი მომსახურების საერთაშორისო და ეროვნული სტანდარტების კონვერგენციის ხელშეწყობით, რაც უზრუნველყოფს პრაქტიკის ხარისხისა და ერთგვაროვნების ამაღლებას მთელ მსოფლიოში, ასევე საზოგადოების ნდობის განმტკიცებას აუდიტის და მარწმუნებელი მომსახურების გლობალური პროფესიის მიმართ.

IAASB შეიმუშავებს აუდიტისა და მარწმუნებელი მომსახურების სტანდარტებს და სახელმძღვანელო მითითებებს ყველა პროფესიონალი ბუღალტრისთვის, სტანდარტების შემუშავების საერთო პროცედურული პროცესის ფარგლებში, რომელშიც ჩართულია საზოგადოებრივი ინტერესების საზედამხედველო საბჭო. საბჭო ზედამხედველობას უწევს IAASB-ისა და IAASB-ის საკონსულტაციო ჯგუფის საქმიანობას, რომელიც უზრუნველყოფს საზოგადოებრივი ინტერესების გათვალისწინებას სტანდარტებისა და მითითებების შემუშავებაში.

ბუღალტერთა საერთაშორისო ფედერაცია® ანუ IFAC® ხელს უწყობს იმ სტრუქტურების საქმიანობისა და შესაბამისი პროცესების განხორციელების მხარდაჭერას, რომელსაც ეფუძნება IAASB-ის საქმიანობა. IAASB და IFAC პასუხს არ აგებენ იმ ზარალზე, რომელიც განიცადა პირმა, წინამდებარე გამოცემაში გამოყენებული მასალის საფუძველზე ან მის გაუთვალისწინებლად მოქმედების შედეგად, მიუხედავად იმისა, რითი იყო გამოწვეული ეს ზარალი, დაუდევრობით თუ სხვა მიზეზით.

საავტორო უფლება © 2021 წლის ივნისი, ეკუთვნის IFAC-ს. ყველა უფლება დაცულია.

The ‘International Auditing and Assurance Standards Board’, ‘International Standards on Auditing’, ‘International Standards on Assurance Engagements’, ‘International Standards on Review Engagements’, ‘International Standards on Related Services’, ‘International Standards on Quality Control’, ‘International Auditing Practice Notes’, ‘IAASB’, ‘ISA’, ‘ISAE’, ‘ISRE’, ‘ISRS’, ‘ISQC’, ‘IAPN’ და ლოგო IAASB IFACის სავაჭრო ნიშნებია, ან IFACის რეგისტრირებული სავაჭრო და მომსახურების ნიშნებია აშშსა და სხვა ქვეყნებში.

საავტორო უფლების, სავაჭრო ნიშნებისა და ნებართვის შესახებ ინფორმაციის მისაღებად გთხოვთ მიმართოთ permissions ან დაგვიკავშირდეთ permissions@ifac.org.

ბუღალტერთა საერთაშორისო ფედერაციის (IFAC) პუბლიკაცია „დანერგვის სახელმძღვანელო – ხარისხის მართვის საერთაშორისო სტანდარტი (ხმსს) 2 – *გარიგების ხარისხის მართვა*“, რომელიც 2021 წლის ივნისში ინგლისურ ენაზე გამოსცა International Federation of Accountants (IFAC), ქართულ ენაზე თარგმნა საქართველოს პროფესიონალ ბუღალტერთა და აუდიტორთა ფედერაციამ 2022 წლის ივლისში და გამოიცემა IFAC-ის ნებართვით. IFAC-ის პუბლიკაციების დამტკიცებულ ტექსტად მიიჩნევა IFAC-ის მიერ ინგლისურ ენაზე გამოცემული ტექსტი. IFAC თავის თავზე არ იღებს არანაირ პასუხისმგებლობას თარგმანის სისწორესა და სისრულეზე, ან ქმედებებზე, რომლებიც შეიძლება მოჰყვეს ამ დოკუმენტის გამოყენებას.

„დანერგვის სახელმძღვანელო – ხარისხის მართვის საერთაშორისო სტანდარტი (ხმსს) 2 – *„გარიგების ხარისხის მართვა*“, 2021 წლის ივნისი, ინგლისურენოვანი ტექსტი © 2021 წ. IFAC. ყველა უფლება დაცულია.

„დანერგვის სახელმძღვანელო – ხარისხის მართვის საერთაშორისო სტანდარტი (ხმსს) 2 – *„გარიგების ხარისხის მართვა*“ , 2021 წლის ივლისი, ქართულენოვანი ტექსტი © 2022 წ. IFAC. ყველა უფლება დაცულია.

ორიგინალური ვერსიის სახელწოდება: International standard on quality management (ISQM) 2: First-time implementation guide, June 2021

წინამდებარე დოკუმენტის გამრავლების, შენახვის, ან გადაცემის, ან სხვა ანალოგიური მიზნით გამოყენებისთვის ნებართვის მისაღებად დაგვიკავშირდით: Permissions@ifac.org

IAASB International Auditing and Assurance Standards Board

529 Fifth Avenue, New York, NY 10017
T + 1 (212) 286-9344 **F** +1 (212) 286-9570
www.iaasb.org

თარგმნა:

ბეფGFPAA